საბაღე სახლი და სამეურნეო ნაგებობები ამხანაგობის წევრის პირადი საკუთრებაა, მაგრამ საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლებიდან განსხვავებით, მთელი რიგი თავისებურებანი გააჩნია. საბაღე სახლი საბინაო (საავარაკო) ფონდში არ შედის, ამიტომ მასზე არ ვრცელდება საბინაო კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავენ. საბაღე სახლის გასხვისების უფლება მეტად შეზღუდულია. საბაღე სახლის გაცვლა, ჩუქება, ყიდვა, გაყიდვა და სხვა არ შეიძლება. ამ შეზღუდვას გარკვეული საფუძველი აქვს საბაღე სახლი და სხვა სამეურნეო ნაგებობები ტექნიკური, სამეურნეო და სამართლებრივი თვალსაზრისით ერთი მთლიანობაა საბაღე მიწის ნაკვეთთან ერთად. ამიტომ საკუთრების უფლება საბაღე სახლზე განუყრელადა დაკავშირებული მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლებასთან საკუთრების უფლება საბაღე სახლზე შეიძლება ჰქონდეს იმ პირს, რომელსაც გამოეყო საბაღე მიწის ნაკვეთი. შეიძლება მოხდეს, რომ საბაღე სახლის მესაკუთრე შეიძლება გახდეს ერთი პირი, საბაღე ნაკვეთი კი გამოეყოს მეორე პირს. ეს შესაძლებელია მაგალითად, როცა საბაღე სახლი მემკვიდრეობით გადადის ისეთ პირზე, რომელსაც არ შეიძლება გამოეყოს მიწის ნაკვეთი.

აღსანიშნავია, რომ საბაღე სახლის განკარგვის შეზღუდვის და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მებაღე კოოპერაციული ორგანიზაციის წევრია, გამოითქვა მოსაზრება, რომ საბაღე სახლი უნდა მიეკუთვნოს არა პირად, არამედ კოოპერაციული საკუთრების უფლების ობიექტს. ეს დებულება გატა-

რებულია ესტონეთის სს რესპუბლიკაში მოქმედ მებალეობის ამხანაგობის ტიპობრივ წესდებაში, რომლის მიხედვითაც ყველა შენობა ნაგებობა, რომელიც ამხანაგობის ტერიტორიაზეა, ეკუთვნის მებალეობის ამხანაგობას კოოპერაციული საკუთრების უფლებით და მათი ღირებულება ჩაირიცხება მიზნობრივ შესატანებში, საბაღე სახლი ამხანაგობის წევრებს გადაეცემათ სარგებლობის უფლებით. მაშასადამე, საბაღე სახლის ღირებულება უნდა ჩაირიცხოს ამხანაგობის წევრის მიზნობრივ შესატანებში, რომელიც დაუბრუნდება უკან ამხანაგობის წევრობის შემადგენლობიდან გასვლის შემთხვევაში. საკითხში ასეთნაირად გადაწყვეტას გარკვეული საფუძველი აქვს. მაგრამ ის მაინც ვერ გამოხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას. საქმე ის არის, რომ უმეტეს შემთხვევაში ამხანაგობის წევრი თვითონ იძენს სამშენებლო მასალას, მისი და ოჯახის წევრების შრომით აშენებს საბაღე სახლს, თვითონ ქირაობს სამშენებლო მექანიზმებს და სხვ. ამხანაგობის წევრს შეუძლია აიღოს და სხვაგან გადაიტანოს საბაღე სახლი, გაყიდოს როგორც სამშენებლო მასალა. ამეთ შემთხვევაში ნაგებობების კოოპერაციული საკუთრების უფლების ობიექტად მიჩნევა არ შეესაბამება კოოპერაციული საკუთრების წარმოშობისა და სარგებლობის პრინციპებს.

მებალეობის ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან გასულ წევრს საბაღე სახლის გაყიდვის უფლება არა აქვს. ის ახალმიღებული წევრის საკუთრებაში უნდა გადავიდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოფილი წევრი ვერ მიიღებს სახლის ღირებულებას. ტიპობრივი წესდების 22-ე მუხლში აღნიშნულია: მებალეობის ამხანაგობიდან გასულ (გარიცხულ) პირს უბრუნდება საერთო სარგებლობის შენობა ნაგებობათა ცვეთის გამოკვლევებით წყალმომარაგებისა და ელექტრომომარაგების ქსელების, გზებისა და ხიდების ასაშენებლად, კოლექტიური ბაღის ტერიტორიის შემოსაღობავად, მებალეობის მიწის ნაკვეთის ათვისების ღონისძიებებისათვის (ტერიტორიის ავეგმვა, სამელიორაციო სამუშაოები, ნოყიერი გრუნტის შეტანა და სხვა), მებალეობის ამხანაგობის სალაროში შეტანილი მიზნობრივი თანხები, ასევე უნაზღაურდება, შეფასების აქტის შესაბამისად, მისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთზე არსებული საზაფხულო საბაღე სახლისა და სხვა ნაგებობათა ხილ-კენკროვანი ნარგავების ღირებულება, ნაკვეთის ასათვისებლად გაწეული სხვა ხარჯები.

აღნიშნულ პირს არ უბრუნდება შესასვლელი და საწევრო შენატანები, ამხანაგობის მუშა მოსამსახურეთა შესანახად, კულტურული ღონისძიებებისათვის; აგრეთვე საზოგადოებრივი სამეურნეო შენობა-ნაგებობების რემონტისათვის შეტანილი თანხები, წყლით, ელექტროენერჯითა და ავტოტრანსპორტით სარგებლობის გადასახდელები.

მებალეობის ამხანაგობიდან გასული (გარიცხული) წევრის ნაცვლად ამხანაგობის წევრად მიღებული პირი ვალდებულია გადახადოს შესასვლელი შესატანი, აგრეთვე ამხანაგობიდან გასული (გარიცხული) პირისათვის დასაბრუნებული მიზნობრივი თანხები (შენობა-ნაგებობათა ცვეთის გათვალისწინებით). საზაფხულო საბაღე სახლისა და სხვა ნაგებობების, ხილ-კენკროვანი ნარგავების ღირებულება, მიწის ნაკვეთის ასათვისებლად გაწეული სხვა ხარჯები.

მებალეობის ამხანაგობაში მიღებულ ახალ წევრს უფლება არა აქვს უარი თქვას ღირებულების გადახდაზე. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მას ნაკვეთზე სხვა სახლის აშენება სურს. არ შეუძლია მოითხოვოს ყოფილი წევრისაგან

სახლის ალება. ამხანაგობის წევრი რომ საბაღე სახლის პირადი მესაკუთრეა, ამაზე თუნდაც ის გარემოებაც მიუთითებს, რომ ის ვალდებული არ არის (ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან გასვლის შემთხვევაში) გადასცეს ეს სახლი ახალმიღებულ წევრს. მას უფლება აქვს გადაიტანოს საბაღე სახლი მის სარგებლობაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთზე ან დაშალოს და თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს (გაყიდოს, გაჩუქოს და სხვა) სამშენებლო მასალა. თუ მეზაღეობის ამხანაგობა ან ახლად მიღებული წევრი ხელს შეუშლის ამხანაგობიდან გასულ მოქალაქეს ამ უფლების განხორციელებაში, მაშინ მას შეუძლია სასამართლოს მიმართოს თავისი საკუთრების უფლების დაცვის მოთხოვნით.

მეზაღეობის ამხანაგობის წევრს, როგორც საბაღე სახლის მესაკუთრეს, უფლება აქვს გადასცეს საბაღე სახლი სარგებლობისათვის სხვა პირს ქონების ქირავნობის ან ქონების ან ქონებით უსასყიდლოდ სარგებლობის ხელშეკრულებებით. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 270- და 235-ე მუხლებში ნათქვამია: ქონების ქირავნობის ხელშეკრულებით ვამქირავებელი კისრულობს სასყიდლოდ მისცეს დამქირავებელს ქონება დროებითი სარგებლობისათვის“.

„ქონებით უსასყიდლოდ სარგებლობის ხელშეკრულებით ერთი მხარე კისრულობს გადასცეს მეორე მხარეს ქონება დროებითი უსასყიდლოდ სარგებლობისათვის, ხოლო ეს უკანასკნელი კისრულობს სარგებლობის ვადის გასვლის შემდეგ დააბრუნოს აღნიშნული ქონება“.

თავისი ქონების განკარგვის უფლების განხორციელების დროს ამხანაგობის წევრი უნდა ხელმძღვანელობდეს იმ დებულებით, რომ არ შეიძლება ქონების გამოყენება პირადი გამორჩენისა და სხვა ანგარებითი მიზნებისათვის, საზოგადოების ინტერესების საზიანოდ. საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 108-ე მუხლში ნათქვამია: „თუ მოქალაქე პირადი საკუთრების საცხოვრებელ სახლს, აგარაკს (სახლის, აგარაკის ნაწილს) ან სხვა ქონებას სისტემატურად იყენებს არაშრომითი შემოსავლის მისაღებად, ეს სახლი, აგარაკი (სახლის, აგარაკის ნაწილი) ან სხვა ქონება უსასყიდლოდ უნდა იქნეს ჩამორთმეული სასამართლო წესით სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სარჩელით.“

სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამორთმეული სახლი (აგარაკი) ან სახლის (აგარაკის) ნაწილი ჩაირიცხება სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ფონდში“.

„უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, მიეცათ მითითება სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს გააძლიერონ კონტროლი მოქალაქეთა საზაფხულო საბაღე სახლების გამოყენებაზე, მოავგარონ იმ პირთა აღრიცხვა, რომლებიც აქირავებენ ამ სახლებს, უზრუნველყონ, რომ მკაცრად დაიცვან იმ კანონების მოთხოვნები, რომლებიც არეგულირებენ ამ ნაგებობათა ქირავნობის საკითხებს. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალოთ დაადგინონ ასეთი ხელშეკრულებების რეგისტრაციის წესი, დამქირავებლის მიერ საზაფხულო საბაღე სახლის სარგებლობისათვის საფასურის გადახდის პირობები და ზღვრული ოდენობა.

ამხანაგობის წევრი, განქორწინების დროს შეიძლება ვახდეს ერთ-ერთი ყოფილი მეუღლე, მამასადამე, საბაღე ნაკვეთი შეიძლება დარჩეს სარგებლობაში ამხანაგობის წევრ მეუღლეს, ან გადაეცეს მეორეს, მაგრამ ისმება საკითხი იმ ქონების შესახებ, რომელიც საბაღე ნაკვეთზე იმყოფება. საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობით დადგენილია, რომ მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება მათი საერთო თანასაკუთრებაა. მეუღლეებს აქვთ ამ ქონების მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის თანაბარი უფლება ამ ქონებაზე, მეუღლეებს თანაბარი უფლება აქვთ იმ შემთხვევაშიც, თუ ერთი მათგანი უვლიდა შვილებს, ეწეოდა საოჯახო მეურნეობას, ან სხვა საბაღეო მიზეზით არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი. ქონება, რომელიც მეუღლეებს დაქორწინებამდე ეკუთვნოდა, მათი პირადი საკუთრებაა, აგრეთვე პირადი საკუთრებაა ჩუქების ან მემკვიდრეობის წესით მიღებული ქონება. მეუღლეთა პირად საკუთრებად ითვლება აგრეთვე პირადი მოხმარების ნივთები (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი) თუნდაც ისინი შექმნილი იყოს ქორწინებაში ყოფნის დროს მეუღლეთა საერთო სახსრებით, გარდა ძვირფასეულობისა. ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის, რომ თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ცნობილი იქნეს მეუღლეთა საერთო საკუთრებად, თუ დადგენილი იქნება, რომ ქორწინების განმავლობაში ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა. (მშენებლობის დასრულება, გადაკეთება, კაპიტალური რემონტი და სხვა).

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულია: „იმ ქონების გაყოფისას, რომელიც წარმოადგენს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას, მეუღლეთა წილი თანაბარია ცალკეულ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის საკითხს, გაითვალისწინოს არასრულწლოვანი შვილების ინტერესები ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესები. კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდებულ იქნეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომის უუნაროა, აგრეთვე რომ მეორე მეუღლე თავს არიდებდა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მონაწილეობას ან ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ.“

მეუღლეები ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონების თანამესაკუთრეები არიან მუხედავად იმისა, რომელი მეუღლის სახელზეა გაფორმებული ეს ქონება. სხვა ქონებასთან ერთად მეუღლეთა საერთო საკუთრებას მიეკუთვნება საბაღე სახლი, სამეურნეო ნაგებობანი, ნარგავები და სხვა, რომლებიც შექმნილი და აშენებულია ქორწინების განმავლობაში, ასევე მიზნობრივი შესატანები. ასეთია მეუღლეთა შორის მათი საერთო ქონების გაყოფის წესი, მაგრამ ერთგვარად განსხვავებულად ხდება განქორწინებისას ნაკვეთზე იმყოფება. როგორც უკვე აღინიშნა, საბაღე ნაკვეთი არ იყოფა და მთლიანად სარგებლობაში რჩება ერთ-ერთ ყოფილ მეუღლეს. საბაღე ნაკვეთზევე რჩება შენობა ნაგებობები და ნარგავები. მათი ნატურით გაყოფა არ ხდება და საკუთრებაში რჩება იმ ყოფილ მეუღლეს, რომელსაც საბაღე ნაკვეთი აქვს სარგებლობაში. მეორე ყოფილ მეუღლეს აუნაზღაურდება მისი წილის ღირებულება, ასევე წილი მიზნობრივი შესატანებიდან.

შესაძლებელია შემთხვევები, როცა საბაღე სახლის მშენებლობასა და ნაკვეთის კეთილმოწყობაში მონაწილეობენ მეზობლების წევრის ნათესავები



და ნაცნობები, რომლებიც შემდგომში პრეტენზიას აცხადებენ საბაღე სახლისა და ნაკვეთის ნაწილზე. საბაღე ნაკვეთზე აშენებული სახლის საკუთრების უფლება განსხვავდება საცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლებისაგან. საბაღე ნაკვეთზე სახლის აშენების უფლება მხოლოდ ამხანაგობის წევრს აქვს და მხოლოდ მას შეიძლება ჰქონდეს მასზე საკუთრების უფლება. შრომისა და სახსრების გაწევა საბაღე სახლის მშენებლობაზე და მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობაზე არც ერთ შემთხვევაში არ წარმოშობს საბაღე ნაკვეთით სარგებლობის უფლებას. პირს, რომელიც მონაწილეობდა საბაღე სახლის მშენებლობასა და საბაღე ნაკვეთის კეთილმოწყობაში, შეუძლია მოითხოვოს მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

მეზღვების წევრის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება მემკვიდრეებზე გადადის. სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში სხვა ქონებასთან ერთად შედის საბაღე სახლი, სხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, ნარგავები, რომლებიც ამხანაგობის გარდაცვლილი წევრს ჰქონდა პირადი საკუთრების უფლებით, ასევე მიზნობრივი შესატანები. ამ ქონების მემკვიდრეობით გადასვლა ხორციელდება მემკვიდრეობის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

როგორც ცნობილია, მემკვიდრეობა შეიძლება განხორციელდეს კანონის ან ანდერძის საფუძველზე. პირველი შემთხვევაში მემკვიდრეთა წრე და მემკვიდრეობის მისაღებად მათი მოწოდების წესი კანონით არის განსაზღვრული, მეორე შემთხვევაში კი გარდაცვლილის ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ გადადის ანდერძით დანიშნულ მემკვიდრეებზე.

კანონიერი მემკვიდრეობა მოქმედებს ყოველთვის, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული: ა) დატოვებული არ იყო ანდერძი; ბ) ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი; გ) ანდერძი ეხება ქონების ნაწილს; დ) ანდერძით მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს დამტოვებელზე აღრე, ან არ მიიღო მემკვიდრეობა.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, საბაღე სახლი და სხვა ქონება საბაღე ნაკვეთის სამკვიდრო ქონებაში შედის და გადადის მემკვიდრეებზე. მემკვიდრეობის შესახებ ზოგადი წესების შესაბამისად ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს ერთი სპეციფიკა: აღნიშნული ქონება ნატურით შეიძლება გადავიდეს მხოლოდ იმ მემკვიდრეებზე, რომელსაც მეზღვების ამხანაგობის წევრად მიიღებენ. ამ უკანასკნელმა დანარჩენ მემკვიდრეებს უნდა გადაუხადოს სამკვიდრო ქონებაში მათი წილის ფულადი ღირებულება, ასევე კუთვნილი ნაწილი მიზნობრივი შენატანებიდან. თუ მემკვიდრე, რომელიც ამხანაგობის წევრად არის მიღებული, ნებაყოფლობით არ გადაუხადის კუთვნილ თანხას სხვა მემკვიდრეებს, მაშინ ამ უკანასკნელთ უფლება აქვთ მიმართონ სარჩელით სასამართლოს. ასეთ სარჩელს სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში დააკმაყოფილებს, თუ მოსარჩელები აღარ სარგებლობენ საბაღე ნაკვეთით და გაათავისუფლეს საბაღე სახლი.

საბაღე სახლი და საბაღე ნაკვეთზე განლაგებული სხვა ქონება შეიძლება ანდერძით იქნეს დატოვებული ერთი ან რამდენიმე პირისათვის, მაგრამ ისე არ უნდა გაიგოთ, რომ რადგან ქონება ანდერძით მემკვიდრეს ეკუთვნის, ის აუცილებლად მას უნდა გადაეცეს ნატურით. ამხანაგობის წევრად მიღების უპირატესობა შეიძლება მიეცეს სხვა მემკვიდრეს, ხოლო პირი, რომლისთვისაც საბაღე სახლი და საბაღე ნაკვეთზე განლაგებული სხვა ქონება იყო ნაანდერძივე, მიიღებს ამ ქონების ღირებულებას.

საზაფხულო საბაღე სახლი იმ ობიექტებს მიეკუთვნება, რომლებიც ექვემდებარებიან სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას. საბაღე სახლი დაზღვევა დანადგარების ან დაზიანების შემთხვევისათვის, თუ ასეთი გამოიწვია ხანძარმა, აფეთქებამ, მეხის დაცემამ, წყალდიდობამ, მიწის ძვრამ, ქარიშხალმა, გრივალმა, ღვარცოფმა, სეტყვამ, მერწყურმა და კანონით გათვალისწინებულმა ზოგიერთმა სხვა შემთხვევამ.

ზემოთ მითითებულ შემთხვევებში, ნაგებობის განადგურების ან დაზიანებისას დამზღვევი, ხოლო იმ ადგილზე არ ყოფნის შემთხვევაში ოჯახის სრულწლოვანი წევრი ვალდებულია ერთი დღე-ღამის განმავლობაში განაცხადოს ამის შესახებ სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციაში ან სახალხო დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომში. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ვალდებულია არა უგვიანეს მეორე დღისა შეატყობინოს დაზღვევის სახელმწიფო ინსპექციას ნაგებობის განადგურების ან დაზიანების თაობაზე შემოსული განცხადების შესახებ.

სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციას უფლება აქვს უარი თქვას სადაზღვევო საზღაურის გადახდაზე თუ დამზღვევი (ან ოჯახის სრულწლოვანი წევრი), როცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა, არ განაცხადებს დადგენილ ვადაში მომხდარის შესახებ. დამზღვევი სადაზღვევო საზღაურს არ გადაიხდის ასევე, თუ ნაგებობის განადგურება ან დაზიანება დამზღვევის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის განზრახი მოქმედების შედეგი იყო.

#### Л. ХУСКИВАДЗЕ

### ИМУЩЕСТВЕННЫЕ ОТНОШЕНИЯ САДОВОДЧЕСКИХ ТОВАРИЩЕСТВ

#### Резюме

Рассмотрено создание садоводческих товариществ, правовое положение его членов, вопросы управления товариществом, формы собственности, возникающие при имущественных отношениях.

Подробно рассмотрен Закон «О кооперации в СССР», где точно определено место садоводческих и садоводческо-огороднических товариществ, вследствие чего они отнесены к кооперативной системе, что, по нашему мнению, является правомерным.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მართვის სამართლებრივი პრობლემების განყოფილებამ

## ქრონიკა, ინფორმაცია, რეცენზია

ქართული საკანონმდებლო ძეგლის რუსული თარგმანის განხილვა

საქართველოს სსრ მეციერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის სამეცნიერო საბჭოზე განიხილეს „ძეგლის დადება გიორგის V-ის ბრწყინვალისა“-ს რუსული თარგმანი, რომლის ავტორია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი დ. ფურცელაძე. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ განხილვის მასალებს.

### „ძეგლის დადება გიორგი V-ის ბრწყინვალისა“

(საჯარო განხილვის მოკლე ანგარიში)

1989 წლის 9 თებერვალს „სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის“ სამეცნიერო საბჭოს საჯარო, გაფართოებულ სხდომაზე მოეწყო განხილვა წიგნისა „Уложение Георгия V-ого Блистательного. Подготовка грузинского текста, русский перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. Ш. Пурцеладзе, Тбилиси, „Мецნიერება“, 1988“.

სხდომას უძღვებოდა ცენტრის დირექტორის მოადგილე იურ. მეცნ. კანდ. გ. ხეცურანი.

მომხსენებლად დასახელებული პუბლიკაციის თაობაზე სხდომას წარუდგა საქ სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ისტორ. მეცნ. კანდ. ედიშერ ხოშტარია-ბროსე, მან ვრცლად წარმოაჩინა ნაშრომის ღირსებანი და საბაეჭროდ, კაცმა თქვას, მხოლოდ ერთი, სახელდობრ გამოქვეყნებული ძეგლისეული ტერმინების თარგმან-ქუთარგმნელობის საკითხი წამოჭრა — ტერმინები ყველა უნდა ითარგმნებოდეს.

გარდა ამისა მან განსაზღვრავდა დასახა „ძეგლის დადების“ შედგენის ხანისა და შემდგენელის გიორგი V-ის კავშირ-დამოკიდებულება ეგრეთ წოდებული „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ ჩამოყალიბებასთან ვითარცა სხვადასხვა დროის ნორმატიული აქტების ერთგვარი კრებულისა<sup>1</sup>.

ე. ხოშტარია-ბროსეს მოხსენების შემდეგ შრომის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრებმა და სხვა თანამშრომლებმა: ქართული სამართლის ისტორიის განყოფილების გამგემ იურიდ. მეცნ.

1 ე. ხოშტარია-ბროსეს მოხსენება ქვემოთ სრულად ქვეყნდება „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ ჩამოყალიბებაში გიორგი V-ისა და მისი ხანის მნიშვნელობის გამო იხ. ედიშერ ხოშტარია-ბროსე, ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ შესწავლისა და საქართველოში მოქმედი ფეოდალური კანონმდებლობის საკითხისათვის“, „ეურნ. მეცნე“, ისტორ., არქეოლოგ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორ. სერია, თბ., 1987, № 1.

დოქტორმა პროფესორმა გ. ნადარეიშვილმა<sup>2</sup>, წიგნის რედაქტორმა იურიდ. მეცნ. კანდ. ი. ფუტყარაძემ, იურიდ. მეცნ. დოქტორმა პროფესორმა გ. ტყეშელიაძემ და იურიდ. მეცნ. კანდიდატებმა ბ. ზოიძემ და ს. გოგინავამ.

ერთობიერ აღიარებულ იქნა შრომის დიდი ღირსება და მისი მნიშვნელობა ქართული სამართლის ისტორიის წარმოჩენა-შესწავლისათვის და საქართველოს ზოგადი ისტორიის შესაბამისი პრობლემების კვლევისათვის, აღინიშნა, რომ იგი, და დ. ფურცელაძის მანამდელი პუბლიკაციებიც, უეჭველად ემსახურება ქართული ეროვნული სამართლის ჩართვას საერთო ისტორიულ-სამართლებრივი კვლევა-ძიების არეში, ქართველი ხალხის სამართლებრივი კულტურის, მისი ერთობ ისტორიულად კულტურისნობის წარმოჩენას საქვეყნოდ, საერთაშორისოდ. დაფასდა ხარისხი თვითონ თარგმანისა, რომელიც ზედმიწევნითადაა და თანამდევ აპარატთან ერთად დედანი ტექსტის ერთნაირ გრამატიკულ, ლოგიკურსა და სისტემატიკურ კომენტარსაც იძლევა.

გამოითქვა მოსაზრება „ძეგლის დადების...“ გამოცემის გამოყენებით მნიშვნელობაზეც კი, — მისი ზოგი დანაწესების ეროვნული კონსტრუქციისა და აგრეთვე ტერმინოლოგიის მხრივ ჩვენს თანამედროვე საკანონმდებლო პრაქტიკაში (ზ. ზოიძე).

აღინიშნა ახლანდელი გამოცემის სისრულე, ის რომ იგი ასახავს წინამორბედ წყაროებსა და ლიტერატურასაც: ვახტანგ VI-ის კრებულის ზანდუკ-საძიებლის ამონაკრებს, ჯერ XIX საუკუნის რუსეთის სენატისეულ თარგმანს აგრეთვე ი. უორდაროვის ინგლისურსა და უ. კარასტის ფრანგულ თარგმანებსაც, მათი თანამდევნი და აგრეთვე ჯერ დ. ბაქრაძისეული კომენტარების სხარტი მიმოხილვით<sup>3</sup>.

ი. ფუტყარაძემ გამოცემის უეჭველ ღირსებად დასახა კერძოდ მისი საწინიერო აპარატის — ტექსტობრივ სქოლიოთა, საძიებლებისა და გლოსარიუმის სიმდიდრე და ხარისხი; ამასთანავე მან უსაყვედურა გამომცემლობას უპატივებელი კორექტურული შეცდომების გამო.

ს. გოგინავამ ყურადღება მიაპყრო „დარბაზის“ ცნების გადმოცემას, იმას სახელდობრ ვითომ თარგმანში ეს ცნება კვლავ სამეფო, სახელმწიფო საბჭოდ ისახებოდეს, თუმცა ახალი გამოკვლევებით (ი. ანთელავასი) და თითქოს თვითონ დ. ფურცელაძის ამ ბოლოდროინდელი წერილითაც<sup>4</sup>, მხოლოდ მეფის რეზიდენციას უნდა ნიშნავდესო.

დ. ფურცელაძემ თავისი პასუხი ორ საკითხს მიუძღვნა.

მისი აზრით, სამართლის ძეგლების თარგმნის დროს მანაც წესად არ უნდა იდებოდეს, რომ ყველა ტერმინი გინდა არ გინდა ითარგმნებოდეს. ზომ არ ითარგმნება ისეთი უცხოური ტერმინები, როგორებიცაა, ეთქვათ, სკვა-

2 ამ ანგარიშის დაბეჭდვა ზოგი გარემოების გამო ცოტა არ იყოს შეგვიანდა. ამასობაში გამოქვეყნდა გ. ნადარეიშვილის საფუძვლიანი რეცენზია — „გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნის ახალი გამოცემა“, ჟურნ. „მნათობი“, 1989, № 5, გვ. 172-175.

3 წიგნის მომზადების დროს გამომცემელს სამწუხაროდ ჯერ არ მიუწვდებოდა ხელი ი. შარაძის შრომაზე „შესავალი ქართული ფეოდალიზმის შესწავლისათვის (გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება)“, რომელიც 1971 წელს პარიზ-ჟენევაში ფრანგულად დაიბეჭდა.

4 კრებ. „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“, IV, „მეცნიერება“, 1986, გვ. 164—178. დავით ფურცელაძე, „გიორგი V „ძეგლის დადების“ მოწმობანი „დარბაზის“ თაობაზე“.

ი ი-ი, გ რ ა ფ-ი, მ ა რ კ ი ზ -ი, შ ე რ ი ფ-ი, ყ ი უ რ-ი, ს ე ნ ა ტ-ი, პ ა რ ლ ა-  
 მ ე ნ ტ-ი და სხვა მრავალი. თარგმნა-უთარგმნელობის ნიშნად თითქოს ის  
 უნდა იყოს, თუ რამდენად სრული, ერთაზროვანი, განსაკუთრებულობას მო-  
 კლებული შესატყვისი მოეძებნება ამა თუ იმ ტერმინს თარგმანის ერაში ამის  
 ნათელსაყოფად მოტანილ იქნა მაგალითები, მათ შორის თუნდაც შემდეგვი:  
 გ ლ ლ ე ხ-ს სხვა ეტიმოლოგია აქვს ვიდრე კ რ ე ს ტ ი ა ნ ი-ს.  
 ყ მ ა-ში თარგმნისას საეჭვოა საიმედოდ განვასხვავოთ პ ო დ დ ა ნ ი და  
 კ რ ე პ ო ს ტ ნ ო ი.

ე რ ი ს თ ა ვ-ი ეტიმოლოგიურად მხოლოდ რამდენადმეა ახლო ვ ო ე ვ ო-  
 დ ა ს თ ა ნ და ამასთანავე როგორც ინსტიტუტი საკმაოდ სხვა წარმოშობა-ხასი-  
 ათისაა.

ს ი ს ხ ლ-ი ვითომ შეიძლება კ რ ო ვ-ად ითარგმნებოდეს, თუნდაც გამო-  
 თქმაში „სისხლი სდის“?, და თანაც შესატყვისი ვ ი რ ა და ც ე რ გ ე ლ დ ი  
 ხომ თვითონაც არ ითარგმნებიან.

ხ ე ვ ი ს ბ ე რ-ისა და ხ ე ვ ი ს თ ა ვ-ის თავთავის მნიშვნელობას ვითომ  
 იმით ეშველება თუ „ბერს“ ს ტ ა რ ე ც-ად ვთარგმნით, ხოლო „თავს“ გ ო-  
 ლ ო ვ ა-დ?

მ ა მ უ ლ-ი და მ ე მ ა მ უ ლ ე ვ ო ტ რ ი ნ ა-თი და ვ ო ტ რ ი ნ ი ნ ი კ-ით  
 ძალიან პირობითად თუ გადმოიცემა.

ამგვარი მაგალითები ბლომად მოიპოვებაო, და მოტანილების საპირის-  
 პიროდ წამოყენებულ იქნა თუნდაც შემდეგი ტერმინები.

ვთქვათ განმგებელი პ რ ა ვ ი ტ ე ლ-თან რაიმე განსაკუთრებული  
 შინაარსის მატარებელი არ არისო, ასევე ც ი ხ ი ს თ ა ვ ი ს ხვა არაფერია თუ  
 ა რ ნ ა ჩ ა ლ ნ ი კ (გლავა, კომენდატ) კრეპოსტი.

დაბოლოს, — უ-არ ზ ა ნ გ-ობ ა სრულიად ისევეა ნაწარმოები, როგორც  
 რუსული ბ ე ს ჩ ე ს ტ ი ე: „უ“ რისამე უქონლობის აღმნიშვნელი წინსართია  
 (ბ ე ზ!), „ა რ ზ ა ნ გ“ სპარსულიდანაა და პ ა ტ ი ე ს ნ ი შ ნ ა ვ ს (ჩ ე ს ტ); ამრი-  
 გად უ-არ ზ ა ნ გ ო ბ ა-უ-პ ა ტ ი ო ბ ა ს და მას სწორედ და სრულიად  
 ბ ე ს-ჩ ე ს ტ-ი შეესატყვისება.

„ბავრატ კურაპალატის სამართლის“ გამო დ. ფურცელაძემ გაიხსენა ამ  
 ძეგლის პრეამბულა — „სახელითა ღმრთისაითა და ი წ ყ ე ბ ი ს საღმრთოისა  
 გაჩენილი და გასაჩენელი პ ი რ ვ ე ლ ა დ (!-დ. ფ.) დავითიან ბ ა გ რ ა ტ-კ უ-  
 რ ა პ ა ლ ა ტ ი ს ა და (!-დ. ფ.) აღმშენებელთა მ ე ფ ე თ მ ე ფ ე თ ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ა  
 და მ ე რ მ ე ე ბ ს კ ო პ ო ზ თ ა, დიდებულთა და აზნაურთა, და ჭკუიანთა კაცთა მ ე-  
 ფ ე თ ა წინაშე ერთბამად გაჩენილი განგებთა ღმრთისაითა“ — რომელიც  
 მართლაც იძლევა საბუთს ვიგულოთ, რომ ხელთ სხვადასხვა ხანის სამართლის  
 წიგნთა ან თუნდაც უფრო მნიშვნელოვან ცალკე კანონმდებულებათა კრებული  
 უნდა გვქონდეს, ჭკუასთან ახლოა ისიც, რომ ასეთი კრებულის ჩამოყალიბე-  
 ბისათვის გიორგი VI-ის „ძეგლის დადების“ შექმნისა და „ხელმწიფის კარის  
 გარიგების“ აღორძინების ხანას უაღრესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

ახლა „დარბაზის“ თაობაზე: დაწესებულება — „სამეფო საბჭო“ იყო იგი  
 თუ სამეფო რეზიდენციის მეტს არაფერს გულისხმობდა გადაწყვეტილად ძნე-  
 ლი სათქმელია. თარგმანში შენარჩუნებულია „დ ა რ ბ ა ზ ი“ და ყველა  
 კონტექსტი საბჭო-დ გაგებასაც ითმენს და რეზიდენცია-დაცო განმარტა-  
 დ. ფურცელაძემ.



ამის შემდეგ მან ასე განაცხადა: „დღევანდელი შეკრებილობა შემთხვევასა და შესაძლებლობას გვაძლევს „ძეგლის დადების“ გამოცემის „შესავალს“ შემდეგი დავძინოთ. ამ შესავალში წამოჭრილია საკითხი, თუ რა საფუძველი ჰქონდა ვახტანგ VI-ს, როცა თავისი კორპუსის პრეამბულაში აცხადებდა „ძეგლის დადებით“ „სჯიდენ სამნივე ესე სამეფონი ქართლისანი“-ო, ე. ი. ვითომ ამ თითქოსდა პარტიკულარული კანონმდებლობის ძეგლს მთელს საქართველოში საყოველთაო მოქმედება მოეპოვებინოს.

ამის საფუძველად ის ვიგულებ, რომ „ძეგლის დადებაში“ სახელმწიფო მმართველობის მწყობრი სისტემა ჩამოყალიბებულია<sup>5</sup>.

მაგრამ „ძეგლის დადების“ საერთო-საქვეყნო მნიშვნელობისა და მოქმედების საბუთი ამასთანავე, და უფრო მეტად და უმთავრესადაც უფრო ის უნდა ყოფილიყო, რომ იგი ქართული სამართლის ერთადერთი კანონმდებლობაა, რომელშიც სხარტად, ზოგად ნორმებად ჩამოყალიბებულია ფეოდალური მიწათმფლობელობის ძირეული, განმსაზღვრელი დებულებანი: მამულის ქერა სამსახურის პირობით.

ეს დებულებანი წარმოდგენილია „ძეგლის დადების“ მე-16-ესა და 28-ე მუხლებში:

საჯაროდ, საბეგროდ [და] სალაშქროდ“ „შეწყალება“ და მამულის „ბოძება“ „დარბაზით“, ე. ი. უზენაესი ხელისუფლებისაგან წარმოებს.

ნაწყალობე-ნაბოძები მამულის ქერა (მფლობელობა!) და მის საფუძველზე სამსახური შთამომავლობით-მემკვიდრეობითია გვარში, ვიდრე სრულ ბეითალმანობამდე.

საკითხავია, რაღა „ძეგლის დადებაში“ ისახა ეს დებულებანი: იმიტომაც, რომ ეს კანონმდებლობა ისეთი კუთხისათვის დაიდო, სადაც ბატონყმობა არ იყო, მოსახლეობა მეფის უშუალო ქვეშევრდომობაში იმყოფებოდა.

ახლა დრო და გარემოება ხელს არ გვიწყობს აქვე წარმგვედგინ-და-გვეპირსპირებინა მოტანილი ზოგადი დებულების მგულისხმებელ-ამსახველი კერძო და არაპირდაპირი დადგენილებანი, რომლებიც ამ საგანზე ჩვენს სხვა ნორმატიულ აქტებში მოიძიება“-ო, დაასრულა დ. ფურცელაძემ და პაექრობის მონაწილეთ მადლობა მოახსენა.

„ძეგლის დადების“ გამოცემის განხილვა ამით დასრულდა.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებამ

<sup>5</sup> „ძეგლის დადება გიორგი V-ის ბრწყინვალისა... 1988, გვ. 15.

### აღიზარ ხოზარია-გროსი

## გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ ახალი რუსული თარგმანის გამოცემის გამო

უპირველეს ყოვლისა მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ განსახილველი წიგნის — „ძეგლის დადება გიორგი V-ის ბრწყინვალისა“ (ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, რუსულად თარგმნა, შესავალი, შენიშვნები, გლისარი-უმი და საძიებლები დაურთო დავით ფურცელაძემ — თბილისი, „მეცნიერება“, 1988 წ.) სახით, ჩვენ საქმე გვაქვს დიდმნიშვნელოვან ნაშრომთან, რომელიც შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, მაქსიმალური კომპეტენტურობით. ეს არ არის ბატონ დავით ფურცელაძის პირველი ასეთი ნაშრომი. მას ეკუთვნის აგრეთვე ასევე მნიშვნელოვანი და მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული თარგმანები ვახტანგ VI-ის სამართლისა (რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა 1980 წ.) და ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალსაც“ [„კანონიკურ სამართალთან“ ერთად], გამოქვეყნდა „მაცნეს“ სამართლის სერი-აში (1985, № 4 და 1986 № 1).

თავის დროზე [1981 წწ.] მე მომეცა შესაძლებლობა ასეთსავე განხილვა-ზე გაკეთებულ მოხსენებაში სიამოვნებით აღვნიშნა ვახტანგ VI-ის სამართლის, ბატონ დავითის მიერ შესრულებული თარგმანის და პუბლიკაციის, მაღალი ღირსებანი, და დღესაც ვიმეორებ იგივეს. ამ შრომებისათვის ბატონ დავითს უდავოდ ეკუთვნის ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებრიობის მხრივ დიდი მადლობა. ამ თარგმანების სახით დაინტერესებულ მკითხველს და აგრეთვე მნიშვნელოვანწილად საზღვარგარეთელ სპეციალისტებსაც (რამდენადაც რუსული ბევრისათვის იქ უფრო ხელმისაწვდომია), ხელთ აქვთ ქართული სამართლის სამი უმნიშვნელოვანესი ძეგლის ისეთი თარგმანი და პუბლიკაცია, რომელიც სავსებით სანდოა დედანთან ადეკვატურობის თვალსაზრისით. და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თარგმანში ხშირად ხდება თვით ძეგლის ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილის გახსნაც, ამდენად ამ შრომებს არა მარტო მაღალ დონეზე შესრულებული თარგმანების მნიშვნელობა აქვთ, არამედ ისინი, გარკვეული გაგებით, ნაწილობრივ მაინც თვით ძეგლების კრიტიკულად დადგენის ცდას და ნიშუშსაც წარმოადგენენ.

ასეთი შეფასება სრულიადაც არ ჩაითვლება რამე გადაჭარბებულად, არამედ საქმის ჰერმეტიკ ვითარებას ასახავს, რამდენადაც ასეთი დასკვნამდე მივდიხართ გულმოდგინე ჩაკირკიტების შედეგად, რაც ალბათ დღევანდელი განხილვის დროსაც გამოჩნდება.

საქმე ისაა, რომ განხილვა განხილვაა და აქ, ნაშრომის ზოგად შეფასებასთან ერთად, ჩვენი შენიშვნებიც უნდა წარმოვადგინოთ, მაგრამ ამთავითვე მინდა აღვნიშნო შემდეგი: წარმოდგენილ ნაშრომზე, კერძოდ ძეგლის თარგმანზე, მსჯელობის დროს ჩვენ საკითხს ასე ვაყენებთ — ბატონ დავითს ესა თუ ის ადგილი, ესა თუ ის ტერმინი ასე და ასე აქვს ნათარგმნი, რაიმე

განსხვავებულის კატეგორიულად მტკიცების საფუძველი, როგორც წესი, ჩვენ არა გვაქვს. მხოლოდ რამოდენიმე ადგილას ჩვენ შეიძლება მივცეთ თავს უფლება განსხვავებული თარგმანის შემოთავაზებისა. ისეთი შემთხვევა კი, როდესაც ჩვენ არ ვეთანხმებით ბატონ დავითს (უფრო სწორად, თვითონ არ ვეთანხმება ჩვენ), მხოლოდ ერთია. ეს ეხება სიტყვა „მსოფლიონის“ გაგებას და ამდენად თარგმანსაც, რაზედაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ. მაგრამ ესეც მეცნიერული განსჯის საგანია და, ბუნებრივია, ჩვენ ერთნაირად გვაქვს უფლება ჩვენს თვალსაზრისზე ვიდგეთ. მითუმეტეს, რომ ბატონ დავითს ამ სადავო შემთხვევაში სხვა თანამაზრენიც ჰყავს, მე კი მგონი ჭერჭერობით მარტო ვარ.

თავდაპირველად შევეხები წიგნისათვის წამძღვარებულ შესავალს: აქ მოცემულია მოკლე, მაგრამ საკმაოდ მკაფიო დახასიათება იმ ეპოქისა, რომელშიც შეიქმნა „ძეგლის დადება“. ბუნებრივია, ავტორი ჩერდება თვით გიორგი V ბრწყინვალის მოღვაწეობის შესახებ წყაროების მონაცემებზე — კერძოდ ვახუშტის ცნობებზედაც მთიულეთში მეფის ყოფნისა და მთიულთათვის „ძეგლის დადების“ თაობაზეც. ქვემოთ ავტორი ეხება საკითხს თუ რატომ ვახდა საჭირო მაინცდამაინც მთიულეთისათვის კანონის გაჩენა. ამასთან დაკავშირებით დასმულია კითხვა: იმიტომ ხომ არა, რომ ბარის საქართველოსათვის უკვე არსებობდა კანონმდებლობა, რომელიც მთას არ გამოადგებოდა, ხოლო მთისათვის კი ასეთი კანონმდებლობა ჯერ არ იყო გაჩენილი?

ძეგლის პრეამბულაზე და ზოგიერთ მუხლზე [42, 46] დაკვირვებისა და ლიტერატურაში (ივ. ჯავახიშვილი, ი. დოლიძე) გამოთქმულ მოსაზრებათა საფუძველზე ავტორი ვარაუდობს, რომ „გიორგი V-ის საკანონმდებლო კოდექსის ხელთ ჰქონდა როგორც საერთო ეროვნული საკანონმდებლო ძეგლები, ასევე უცხოური სამართლებრივი წყაროები“. მაგრამ აქვე დასძენს: „არ არის გამორიცხული, რომ კერძოდ 42-ე მუხლი (რომელიც ლომისის გლეხის სისხლის განსაზღვრას ეხება და „თვით ძველთაგან გაჩენილად“ არის წარმოდგენილი) — შეიძლება გულისხმობდეს არა საერთო-სახელმწიფოებრივ სამართალს, არამედ საგანგებო სასისხლო სიგელსაც“, ხოლო 46-ე მუხლთან დაკავშირებით [სადაც წერია: „სარგებელი არც ქართველთ სჯულსა ძეს წესად რომე აიღონ, და არც სხვათა სჯულთა უწერიან“], ავტორი აღნიშნავს, რომ აქ სავარაუდოა იგულისხმება ქართველთა სარწმუნოებრივი სჯული, „კანონი“ და სხვათა სარწმუნოება (მათ შორის არაქართულიც). სხვა შემთხვევაში (მუხლები 2, 13) ავტორი ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს ხედავს („წესი“ და „ძველთაგან გაჩენილი“).

ბატონ დავითის ასეთი სიფრთხილე — იმ თვალსაზრისით, რომ იგი კატეგორიულად არ ამტკიცებს გიორგი ბრწყინვალემდე საერთო-სახელმწიფოებრივი ქართული საკანონმდებლო ძეგლის — ერთიანი სამართლის წიგნის-კოდექსის, არსებობას, სავსებით გასაგები და გამართლებულიცაა. თავის შემდგომ მსჯელობას, სადაც იგი ჩამოთვლის ჩვენთვის ცნობილ ადრეულ ქართული სამართლის ძეგლებს — ე. წ. „ბავრატ კურაპალატის სამართალს“ (რომელსაც იგი სავარაუდოდ XI ს. მიაკუთვნებს), „ბექასა და აღბულას კანონებს“ — იგი ასე ამთავრებს: „ძნელია დავუშვათ, რომ ყოფილიყო ცალკე საერთო-ქართული კოდექსი, იგი ისე გამქარაიყო [დაკარგულიყო], რომ მისი არსებობის კვალიც კი არსად დარჩენილიყო. ბუნებრივია, იბადება კითხვა, რამდენად შესაძლებელია, რომ ქართულ სახელმწიფოს არ ჰქონდა ერთიანი კანონმდებლობა?“ აქ

ბატონი დავითი იმოწმებს ივ. ჯავახიშვილს (თხზულებანი, ტ. VI, გვ. 85), რომელსაც ეს შესაძლებლად მიაჩნია, ხოლო თვითონ საკითხის სიღრმეში შეჭრისაგან ანუ დაბეჭდვით რაიმეს მტკიცებისაგან თავს იკავებს. და, ვფიქრობთ, სწორედაც იქცევა.

მართლაც, როდღაც უნდა ვივარაუდოთ საქართველოში საერთო სახელმწიფოებრივი ფეოდალური სამართლის ძეგლის-კოდექსის არსებობა, ეს კითხვა ფრიად საჭოკმანო და არც თუ იოლად გადასაწყვეტია.

ასეთ საკანონმდებლო ძეგლად შეგვეძლო მიგვეჩინა ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“. ასეთი ვარაუდიც არსებობდა, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს არ მართლდება. არც „ბექასა და აღბულას სამართალი“, იყო თავდაპირველად საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძეგლი. იგი საქართველოს ერთი რეგიონისათვის იყო შედგენილი და ზოგადი მნიშვნელობა მხოლოდ უფრო მოგვიანებით მიიღო. ამდენად, საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის ხანისათვის, მართლაც, არ დასტურდება ასეთი საერთო-სახელმწიფოებრივი სამართლის ძეგლის არსებობა. მაგრამ, როდემდის გავრძელდა ასეთი ვითარება? ცხადია, რომ გარკვეულ დროს მოაწიფდა საჭიროება ასეთი სამართლის შექმნისა და იგი შეიქმნა კიდევ. მაგრამ იგი მთლიანად ახლიდან კი არ დაიწერა, არამედ გარკვეულ დროს აღებული იქნა საქართველოში, მის სხვადასხვა კუთხეში მოქმედი საკანონმდებლო ძეგლები, ცალკეული სამეფო და სხვა განჩინებანი და შეერთდა ერთიან სამართლის კოდექსად, ისე როგორც ამას ევროპაშიც ჰქონდა ადგილი შუა საუკუნეებში. რა კოდექსი შეიძლება იყო ყოფილიყო ეს, ანდა როდის მოხდა მისი, ასე ვთქვათ, შეკოწიწება (გაერთიანება)?

ცნობილია, რომ ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ რაობაზე ჩვენთან არ არის აზრთა ერთიანობა. ნაწილი მკვლევართა მას მიიჩნევს მთლიანად XI ს. ძეგლად (ი. დოლიძე, მ. კეკელია...), ნაწილი კი მას სხვადასხვა დროის შრეების შემცველ სამართლის ძეგლად თვლის. ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი ბაგრატ კურაპალატს მხოლოდ ამ ძეგლის დასაწყისს ვ მუხლს მიაწერდა, ხოლო დანარჩენს უფრო გვიანდელად თვლიდა. ასეთივე მოსაზრებას გამოთქვამდნენ ივ. სურგულაძე, ა. კიკვიძე, — უკანასკნელი ამ ძეგლს საერთოდ „კონგლომერატს“ უწოდებდა და მასში XVI ს. შრეებსაც ადასტურებდა. ჩვენმა საგანგებო კვლევამ დაადასტურა ასეთი შეხედულების სისწორე. ჩვენ ისეთი ვარაუდიც გამოვთქვით, რომ ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“, როგორც იმ დროისათვის არსებული სასამართლო განჩინებათა კრებული, შედგენილ-შეკრებილი იქნა დაახლოებით მაშინ, როდესაც შედგა ბექა-აღბულას სამართლის წიგნი, ე. ი. XIII—XIV საუკუნეებში — უფრო გიორგი ბრწყინვალის (1314—46) ან ბაგრატ V-ის (1360—1393) დროს, როდესაც საერთოდ დიდი ყურადღება ექცეოდა საკანონმდებლო საქმიანობას. (იხ. ე. ზომტარიანი-ბროსე, ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ შესწავლისა და საქართველოში მოქმედი ფეოდალური კანონმდებლობის საკითხისათვის, „მაინე“, ისტორიის... სერია, 1987, № 1).

ასე რომ ერთიანი ქართული საერთო-სახელმწიფოებრივი სამართლის ძეგლის შექმნის დროის საკითხი ჯერ კიდევ ღიაა და საგანგებო კვლევის საგნად რჩება. ბატონ დავითის დამოკიდებულება კი ამ საკითხისადმი უდავოდ ანგარიშგასაწევეა.

ეხლა შევეხოთ თვით „ძეგლის დადების“ ახალ თარგმანს.

ისტორიული ძეგლის, და კერძოდ, სამართლის ძეგლის თარგმანისას ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო საქმეა იმის განსაზღვრა თუ რომელი სიტყვა, რომელი ტერმინი უნდა ითარგმნოს და რომელი დარჩეს უთარგმნელად. ეს უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა იმ ენაზე, რომელზედაც ვთარგმნით, ამა თუ იმ სიტყვის, ტერმინის ზუსტი შესატყვისი ან რამდენად არის ესა თუ ის ტერმინი, სიტყვა სპეციფიკური თვით იმ ენისათვის, საიდანაც ითარგმნება ძეგლი. ამაზე ბევრადაა დამოკიდებული ითარგმნოს თუ არა ესა თუ ის სიტყვა.

ჩავედოთ, კერძოდ, ჩვენს განსახილველ შრომას იმ თვალსაზრისით, თუ როგორ არის გადაწყვეტილი ეს საკითხი მასში.

იმ ძირითადი ტერმინებიდან, რომელნიც ამ მხრივ იქცევეს ყურადღებას, ქვემოთ მოვიყვანთ ისეთ სიტყვებს, რომელნიც უცვლელადაა დატოვებული და ისეთებს, რომელნიც თარგმნილია. პირველთა რიგს ეკუთვნის: სისხლი (სისხლი), გერში (герши), ასაბია (асабия), ყმა (кма), გლხი (глехи), თეთრი (тетри), ხევისბერი (хевисбери), ეროვანი (эровани), დარბაზი (дарбазი), ერისთავი (эристави) და სხვ.

თარგმნილია შემდეგი სიტყვები; უარზანგობა — бесчестье, სახლისკაცი — единомонец, სანივთა — скарн, მამული — именье, ციხე — башня-крепость, მეობრე — грабитель, მოახლე — сопровождающий, ქვეყანა — округа, გამგებელი — правитель, სარგებელი — рост, ციხისთავი — начальник крепости, გვარი — род, სასაპურო — прожиток, პატივი — кара და სხვ.

მანამ ჩვენს თვალსაზრისს გამოვთქვამდე იმაზე თუ რამდენად სწორად მოიქცა მთარგმნელი, როდესაც ესა თუ ის ტერმინი უცვლელად დატოვა (ე. ი. ქართული წაკითხვა რუსულად გადმოსცა) ან თარგმნა, მინდა წინასწარვე განვაცხადო — როგორც ტერმინების უცვლელად დატოვების ასევე თარგმნის შემთხვევაში, როგორც წესი, მკითხველს ტექსტის გაგება წიგნისათვის დართული შესანიშნავი საგნობრივი საძიებლისა და გლოსარიუმის შემწეობით თავისუფლად შეუძლია და თანაც ბატონ დავითისეულ თარგმანს სავსებით შეიძლება ენდოს. სხვა საკითხია, ესა თუ ის ტერმინი ჯობდა გვეთარგმნა თუ დაგვეტოვებინა უცვლელად. ეს კი უკვე რამდენადმე გემოვნების საქმეცაა, და კამათიც ამაზე ბევრ შემთხვევაში უსაგნოა. მაგრამ ზოგიერთი სპეციფიკური ტერმინის შესახებ ჩემს მოსაზრებას მაინც მოვახსენებთ.

ავიღოთ ტერმინი „სისხლი“. როგორც ცნობილია ეს არის იგივე композиция, вергельд, цена крови ან кровь. ცხადია ეს სიტყვები ზუსტად ერთნაირშენელოვნად ყოველთვის არ შეესატყვისებიან ქართულ ტერმინ „სისხლს“. ბატონი დავითი ცდილობს განასხვავოს ისეთი ნიუანსები, როგორცაა სასისხლო საქმის წარმოქმნა („სისხლის დაღვრა“ ანუ მკვლელობა), როდესაც კაცს სისხლი დაედებოდა და მეორეს მხრივ, „სისხლი“, როგორც ამ ქმედების ანაზღაურება. ასე მაგალითად, როდესაც ტექსტში ვაქვს ასეთი გამოთქმა — „სისხლი დგეს“-ო, იგი თარგმნის — кровь, ხოლო როდესაც სისხლის ვაჩენაზეა ლაპარაკი, — (პატივის გვერდით). — „სისხლი და პატივი გავვიჩენიაო“ (შესავ), ამ შემთხვევაში რუსულ ტექსტში რჩება უცვლელად „სისხლი“, პატივი კი თარგმნილია როგორც „кара“.



ზემოთაღნიშნული ნიუანსის დაცვა, ე. ი. სისხლის, როგორც მკვლელობის აქტის და სისხლის, როგორც საზღაურის განსხვავებულად წარმოდგენა, ცხადია სასურველია, მაგრამ ღირდა კი ამ ნიუანსის შესანარჩუნებლად მთელ ტექსტში, სადაც სისხლის ანაზღაურებაზე ძალზე ხშირადაა ლაპარაკი, და თარგმანში ყველგან უცვლელად წარმოდგენილია „სისხლი“, თარგმანის ასე დამძიმება? ხომ არ აჯობებდა ამ შემთხვევაში მიგვემართა ისეთი შესატყვისი-სისათვის, როგორცაა „цена за кровь“ ან „цена крови“. ამას თვით ტექსტიც და, ვფიქრობთ, თარგმანის გამარტივების საჭიროებაც გვიკარნახებს.

ძეგლის პირველსავე მუხლში გვაქვს „სისხლის.. გვარსა ზედა დაურგება“. თარგმანშია: „обеспечить сисхли сообразно роду“. ხაზს ვუსვამ — შინაარსი აქაც საესებით გასაგებია, მაგრამ ხომ არ აჯობებდა გვეთარგმნა ასე „обеспечить цену за кровь сообразно роду“? ეს ხომ ტექსტის ზუსტი შესატყვისიცაა. მითუმეტეს ეს უნდა ითქვას მე-6 მუხლზე, სადაც პირდაპირ ტექსტშივე გვაქვს: „სისხლის ფასად ექვსი ათასი თეთრი დაიურვას“. ამდენად, თარგმანშიც ნახმარია — „цена сисхли“ აქ ხომ „სისხლის ფასი“ სწორედ მკვლელობის (სისხლის დაღვრის) საზღაურს გულისხმობს და „цена крови“ ან „цена за кровь“ საესებით ზუსტ შესატყვისად წარმოგვიდგება. ერთ მაგალითსაც მოვიყვან: 31-ე მუხლში ვკითხულობთ: „ვისიც თორმეტი ათასი თეთრია სისხლის ფასი, მისი ერთი უარზანგობა სამასი თეთრი არის“. თარგმანში გვაქვს: „Для того, чье сисхли имеет ценой 20 тысяч тетри, одно бесчестье составляет 300 тетри“. თარგმანი უდავოდ მძიმეა. მე უპირატესობას მივცემდი ასეთ თარგმანს: „Для того, чья цена крови составляет 20 тыс. тетри, одно бесчестье будет 300 тетри“.

ე. ი. აქ დედნისეული „სისხლის ფასი“ ზუსტად ითარგმნება, როგორც „цена крови“. ვფიქრობ, ასე აჯობებდა ყველგან, ანუ იქაც სადაც მართო „სისხლი“ გვაქვს სისხლის ფასის მნიშვნელობით. სხვა არა იყოს რა თუ კი უარზანგობა“ ითარგმნება, როგორც „несчастье“, რატომ არ შეიძლება გვეხმა-რა „цена крови“? უარზანგობაც ხომ არა ნაკლებ სპეციფიკური იურიდიული ტერმინია, ვიდრე სისხლი?

მაგრამ, კვლავ ვიმეორებ, არც იმითი შეადგება რამე, რომ თარგმანში გვაქვს „სისხლი“, რადგან მკითხველისათვის სურათი ასეც ნათელია, საქმე მხოლოდ თარგმნის ქართული ტერმინებით ერთგვარი დამძიმებისაგან განთავისუფლებას ეხება. ასეთი მიდგომით შეიძლებოდა ჩაგვეთვალა მიზანშეწონილად გვეთარგმნა და არ დაგვეტოვებინა უცვლელად ტერმინები კმა, глехი და კიდევ ზოგიერთი სხვა. მაგრამ პირიქითაც, მოგვეთხოვა, რომ ზოგიერთი თარგმნილი სიტყვა, დარჩენილიყო უთარგმნელად, ან სხვაგვარად თარგმნილიყო. ასეთ ტერმინად გვესახება ჩვენ, მაგალითად „მოახლე“ თარგმნილი როგორც сопровождающий, ასეთი თარგმნისას, ვფიქრობ, იკარგება ამ სიტყვის, როგორც ნათესაობის გამომხატველი ცნების სპეციფიკა. აჯობებდა აქ ან დაგვეტოვებინა „моахле“, ან კიდევ უკეთესი, გვეთარგმნა, როგორც „родич“. აქ ხომ ხევისბერის მოახლეზე, ე. ი. სისხლის წევრზე, ანუ „ახლობელზეა ლაპარაკი და ალბათ ასე აჯობებდა.

მაგრამ ასეთი სურვილების წამოყენება დაუსრულებლად შეიძლება. მაგალითად, დედნისეული „წესი“ თარგმნილია როგორც „правило, порядок“. აქედანვე „არა წესია“ — „противоестество“, „უწესო არს“ — „непорядок. ვფიქრობ „წესი“ უფრო არუსულ „обычай“ — ს შესატყვისება და ამდენად ამ უკანასკნელის ხმარება ჯობდა.

წინააღმდეგ შემთხვევაში ფაქტიურად აქ ტერმინი „წესი“ გვეკარგება. ასევე თუ „ერისთავს“ არ ვთარგმნით, შეიძლება დაგვეტოვებინა „განმგებელიც“.

და ბოლოს, ჩვენს ასე ვთქვათ სადავო ტერმინის „მსოფლიონის“ შესახებ. მე ჩემ ერთ-ერთ წერილში, რომელიც „ძეგლი ერისთავთას“ ზოგიერთი რეალის ინტერპრეტაციას ეხება, მივიჩნიე, რომ ტერმინი „მსოფლიონი“ არ არის სოციალური შინაარსის მატარებელი, არამედ უბრალოდ საერო პირს ნიშნავს. ბატონი დავითი არ დამეთანხმა ასეთ გაგებაში და თვლის, რომ „მსოფლიონი“ იყო მთიულეთის საზოგადოების რიგითი მეთემეების საღმინშენელი ტერმინი. სინამდვილეში ასე რომ ყოფილიყო, ჩვენი მტკიცებით, ამ კატეგორიის ადამიანთა სისხლიც უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. ძეგლში კი ამას ადგლი არა აქვს, აქ ყველას სისხლია გარკვეული — ხევისბერისა, მისი ნათესავისა, ჰეროვანისა, ხადელი ციხისთავისა ან მისი ნათესავებისა, ლომისის გლეხისა, მაგრამ სისხლის განჩინების ნაწილში „მსოფლიონს“ არ ვხვდებით. არ ვხვდებით მას არც ამავე კატეგორიებისათვის უარზანგობის დაწესებისას და საერთოდ ტერმინი „მსოფლიონი“ ძეგლში სულ ერთხელა გვაქვს, იქ სადაც ლაპარაკია სამხედრო მოვალეობებზე და კერძოდ საქმე ეხება ჰეროვანის ასეთ ვალდებულებას. აქვე განმარტებულია, რომ ესე „ჰეროვანისა და მსოფლიონისა იყოს“. ჩვენ ვგულისხმობთ, რომ აქ ჰეროვანზეა ლაპარაკი და თანაც დაზუსტებულია, რომ ეს საერო პიროვნებას („მსოფლიონს“) ეხება, რადგან, მთაში სასულეო პირს (ხუცესს) იარაღის ხმარება აკრძალული ჰქონდა. ამისი მანიშნებელი სხვა მითითებაც გვაქვს. (მაგ. კათალიკოსის განაწესი გერგეტის საყდრიშვილებისადმი). აქ წერია: „იყუნით საყდრისა შვილნი ერთსულობით... მღვდელნი — მღვდელთა წესითა და ერისგანნი — ერისგანთა წესითა. რომელმანცა ხუცესმა აბჯარი აიღოს, ვინცა ნახოს წაართოს და ჭურუმცა აზღვევისოს ქვეყანამან“. (მას. საქ. და კავკ. ისტ. 30, 1954, გვ. 286). ვფიქრობთ, აქაც იგივე ვითარებაა. ჰეროვანის სამხედრო ვალდებულებაზე საუბრისას კანონმდებელი შეახსენებს იქაურ საზოგადოებას, რომ ეს ეხება მსოფლიონებს, ე. ი. საერო პირთ. ძეგლის შესავალშიც ეს სიტყვა სწორედ ასეა გაგებული: „ჩვენ მსოფლიოსა ამისი სისხლი, პატივი და სასაქმო გავვიჩენია...“, სასჯულო საქმე კი კათალიკოსის განსაგებელი იყო. ასე რომ მე ვაძლევ ჩემს თავს უფლებას ამ შემთხვევაში დავრჩე ჩემს თვალსაზრისზე (ამას კი ჩვენთვის, ისტორიკოსებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს).

ესლა კი იმით მინდა დავამთავრო, რომ წიგნს, იმ ღირებულებათა გვერდით, რომლებზედაც ვილაპარაკე თვით თარგმანის შეფასებისას, აქვს კიდევ სხვა უზარმაზარი ღირსება. ეს არის სრულყოფილი სამეცნიერო-საცნობარო აპარატი — საძიებლები და შესანიშნავი გლოსარიუმი, სადაც მკითხველი ამომწურავ ინფორმაციას იღებს ტერმინებზე, სპეციალურ ლიტერატურაზე და წყაროებზე.

მეორე დიდი ღირსება ის არის, რომ წიგნში ძეგლის ქართულ-რუსულ ტექსტთან ერთად მოცემულია ადრინდელი რუსული თარგმანი და უორდრო-პისეული ინგლისური და კარსტისეული ფრანგული თარგმანი.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებამ

6150/48

გობი 85 კობ.



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა  
76196

ISSN—0206—569x, Изв. АН Грузии, сер. экономики и права, т. IV, № 4—112

100-5